



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### თარი



თარი

თარი, უძველესი 5-6 სიმნიანი და მრავალფარდნიანი სიმნიანი საკრავი. გავრცელებულია სამხრ. კავკასიაში (აზერბაიჯანი, დაღესტანი, სომხეთი). XVI-XVII სს-იდან თავს იჩენს აღმ. საქართველოშიც. იგი ძირითადად ქალაქის (თბილისი, თელავი) არაქართველ მოსახლეობასა და ქართვე. დიდგვაროვანთა ოჯახებში იმკვიდრებს ადგილს. ქართვე. მეთარე-მომღერალთაგან ცნობილია ასლან ხურდაყული-შვილი (XIX ს.). თ. სოლო, საანსამბლო და საორკესტრო საკრავია - ლამაზი, ძლიერი ბგერითა და ვირტუოზული ტექ. შესაძლებლობებით. განსაკუთრებულია მისი როლი ქართვე. პროფესიონალ-მუსიკოსების - საზანდრების ანსამბლში (იხ. საზანდარი), რ-თა რეპერტუარის ყველაზე მნიშვნელოვან ჟანრს მულამები წარმოადგენს. საზანდრების რეპერტუარშია

აგრეთვე სხვადასხვა ჟანრის ვოკალურ-საკრავიერი ქმნილებები, განსაკუთრებით - სატრფიალო და საცეკვაო სიმღერები. თ. ვირტუოზული საკრავია. მასზე რთულ ნაწარმოებებსაც ასრულებენ. გამოყენებულია პროფ. მუს. შემოქმედებაშიც (უ. ჰაჯიბეგოვის „ქორ-ოღლი“). ქართ. ლიტ-რაში არსებობს ცნობები, რომ თარის შესანიშნავი შემსრულებლები ყოფილან ბესიკი, საიათნოვა, ა. ჭავჭავაძე.

**კ. ქობნელიძე**